საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/03/2025

MES 7 25 0000338948

**გადაწყვეტილება**

**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის №133194 წერილის (11/02/2025), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (240 კრედიტი) სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 27 ივლისის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის სხდომის №2246 06 ოქმის №03 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 26 თებერვლიდან.
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ.

ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული
მზამავსამეღლი
ელექტრონულად